ვერავინ დადგება განზე...

დონეცკი. ცენტრალური სტადიონი. 18 ივლისი.

"შახტიორი" (დონეცკი) – "დინამო" (თბილისი) 6:3 (3:2).

"შახტიორი": ელინსკისი, ვარნავსკი, სოპკო, პარხომენკო, რუდაკოვი, იაშჩენკო, სოკოლოვსკი, მოროზოვი, პიანიხი (აკიმენკო), იურჩენკო (რადენკო), გრაჩოვი.

"დინამო": კუცია, დანელია, ჩივაძე, დოჩია, კაკილაშვილი, ჯოხაძე (ბარათაშვილი), სვანაძე, სულაქველიძე, გურული, ცაავა, შენგელია (ჟორჟიკაშვილი).

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

ამ მატჩის რადიო და ტელერეპორტაჟი მკითხველმა უკვე მოისმინა და ნახა. იცის შეხვედრის ანგარიშიცა და გატანილი გოლების ავტორებიც: მე-14 წ. - იაშჩენკო, 23-ე - გურული, მე-40 - ცაავა, 43-ე - პარხომენკო, 45 - სოკოლოვსკი, 72-ე - გრაჩოვი, 63-ე ჩივაძე (პენალტით), 85-ე სოკოლოვსკი (პენალტით) და 89-ე - იაშჩენკო.

წლევანდელ სეზონში თბილისის "დინამოს" ქომაგი ისეა განწყობილი, რომ გუნდის ნებისმიერ მარცხს მშვიდად თუ არა, ერთგვარი თავშეკავებით მაინც ხვდება. ეს მოთმინება თუ სულგრძელობა უკეთესი მომავლის იმედით არის განპირობებული. ასეთი იმედის საფუძველი მართლაც არის და საილუსტრაციოდ თუნდაც უკანასკნელი მატჩის ზოგი ეპიზოდი თუ მონაკვეთიც იკმარებდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ზოგი...

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ისევე როგორც ნებისმიერ გუნდს, თბილისის "დინამოსაც" უთუოდ აქვს დამარცხების უფლება, მაგრამ მარცხიც არის და მარცხიც. თვით სულ ბოლო ადგილებისთვის განწირულ გუნდსაც კი შეუძლია რომელიც გნებავთ მატჩი ითამაშოს ისე, რომ 3-4 ბურთზე მეტი არ გაუშვას. 6 გოლის მიღება ერთ მატჩში კოლექტივის უნებისყოფობაზე უფრო ლაპარაკობს, ვიდრე მის უუნარობაზე. დღეს როცა ჩვენი აზრით საფუძველი უნდა ეყრებოდეს და ალბათ ეყრება კიდეც მომავალ, ძლიერ გუნდს, მის არც ერთ წევრს უფლება არა აქვს მკლავებჩამოყრილი შესცქეროდეს, როგორ გადის მის კარში მეოთხე, მეხუთე, მეექვსე გოლი... განა შეხსენება უნდა იმას, რომ ყოველი მორიგი გოლი თბილისელთა კარში, კიდევ ერთი ზედმეტი ტკივილია ქართველი გულშემატკივრისთვის?

თქმა არ უნდა, ეს საყვედურები უფრო ნახევარმცველებს, მეკარესა და განსაკუთრებით მცველებს ეხება, მაგრამ ფეხბურთი გუნდური თამაშია და მარცხის სიმწარე იქნება, შეცდომებით ჩატარებული შეხვედრა თუ კრიტიკა, ყველამ თანაბრად უნდა გაინაწილოს. რა მტკიცება უნდა იმას, რომ როცა ფორვარდები ცუდად თამაშობენ, უჭირთ ნახევარმცველებს, ნახევარმცველთა სუსტი თამაში უარყოფითად მოქმედებს მცველებზე და ასე შემდეგ. სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ მცველთა ქაოტური თამაში ანერვიულებს მეკარეს და პირიქით - მეკარის შეცდომები თავისთავად განაპირობებს მცველთა შეცდომებს. ასე რომ, "დინამოს" წარუმატებლობათა ახსნა ერთი რომელიმე რგოლის ან ფეხბურთელის სუსტი თამაშით სწორი არ იქნებოდა. თბილისის "დინამოს" ვერც ერთი ფეხბურთელი, ვერც ერთი მწვრთნელი ვერ დარჩება განზე, როცა ჩრდილი მთელ გუნდს ადგება.

ი. ბერიაშვილი.
"ლელო", 20 ივლისი, 1983 წ.